RONDELI FOUNDATION

GEORGIAN FOUNDATION FOR
STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

რუსულ-ქართული ურთიერთობები უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის ომის ფონზე

ირაკლი სირბილაძე

190

ექსპერტის აზრი

საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

ექსპერტის აზრი

ირაკლი სირბილაძე

რუსულ-ქართული ურთიერთობები უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის ომის ფონზე

190

2022

პუბლიკაცია დაიბეჭდა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს და შეიძლება არ ასახავდეს საელჩოს თვალსაზრისს.

ტექნიკური რედაქტორი: არტემ მელიქ-ნუბაროვი

საავტორო უფლებები დაცულია და ეკუთვნის საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდს. წერილობითი ნებართვის გარეშე პუბლიკაციის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება გადაიბეჭდოს არანაირი, მათ შორის ელექტრონული ან მექანიკური, ფორმით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები და დასკვნები ეკუთვნის ავტორს/ებს და შეიძლება არ ასახავდეს საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის თვალსაზრისს.

© საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო
ურთიერთობათა კვლევის ფონდი, 2022 წელი

ISSN 1512-4835
ISBN 978-9941-8-4982-4

შესავალი

უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის ბოლოდროინდელმა აგრესიამ შეცვალა ევროპული და, სავარაუდოდ, გლობალური უსაფრთხოების არქიტექტურა. ომმა ევროპის კონტინენტზე დააბრუნა არა მხოლოდ ძველი,[1] ტრადიციული ბრძოლის მეთოდები, არამედ ასევე წარმოშვა უზარმაზარი ეკონომიკური, პოლიტიკური და ადამიანის უსაფრთხოების გამოწვევები უკრაინისა და დანარჩენი მსოფლიოსთვის.

ომის შედეგები ვრცელდება რუსეთის მეზობლებზე და გავლენას ახდენს რუსეთთან მათი ურთიერთობების ბუნებაზე. ომის მიმდინარეობის ფონზე, რუსეთის მეზობელ ქვეყნებს უნდა მიეღოთ ზომები, რომლებიც, ერთი მხრივ, აღკვეთდა რუსეთისგან მომდინარე უსაფრთხოების გამოწვევებს, ხოლო, მეორე მხრივ, გამოხატავდა პოზიციას უკრაინაში რუსეთის მიერ საერთაშორისო სამართლის დარღვევის წინააღმდეგ და დასავლეთის მიერ რუსეთისთვის დაკისრებული საერთაშორისო სანქციების რეჟიმის შესაბამისი იქნებოდა.

ბალტიისა და სკანდინავიის ქვეყნებმა უფრო მტკიცედ დაუჭირეს მხარი უკრაინას და დაგმეს რუსეთის მიერ საერთაშორისო ნორმების დარღვევა, მათ შორის – ეკონომიკური სანქციების დაწესებით. ქვეყნები, რომლებსაც აგრესიული რუსეთისგან საფრთხე ემუქრებათ, მაგალითად, საქართველო და მოლდოვა, უფრო ფრთხილად მოიქცნენ: უკრაინის მიმართ ძლიერი პოლიტიკური, დიპლომატიური და ჰუმანიტარული თანადგომა გამოხატეს, თუმცა, რჩებიან რა შესაბამისობაში საერთაშორისო სანქციების რეჟიმთან, თავი შეიკავეს რუსეთის წინააღმდეგ ეკონომიკური სანქციების დაწესებისგან. მთიანი ყარაბაღის ირგვლივ კონფლიქტის გამო სომხეთი და აზერბაიჯანი ომისგან უმეტესწილად დისტანცირდნენ, თუმცა ორივე ქვეყანამ თავი შეიკავა გაეროს გენერალურ ასამბლეაზე უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის აგრესიის დაგმობისაგან. თურქეთმა ბალანსირების გზა აირჩია, რაც გამოიხატა უკრაინის, მათ შორის სამხედრო, დახმარებით, რუსეთისთვის დასავლეთის მიერ დაწესებული სანქციებისგან დისტანცირებითა და ომის დასასრულებელი მედიაციის მცდელობით. ომის საწყის ეტაპზეც და შემდეგ, რუსეთში 'ნაწილობრივი მობილიზაციის' გამოცხადების გამო, რუსი მოქალაქეების მეზობელ ქვეყნებში ემიგრაციამ მზარდი ხასიათი მიიღო. ამან ზოგიერთ ქვეყანაში, კონკრეტულად კი საქართველოში, არსებული პოლიტიკური ვითარება კიდევ უფრო გაამძაფრა.[2]

რუსეთთან საქართველოს ურთიერთობები ათწლეულებია დაძაბულია, თუმცა 2012 წლის შემდეგ ეკონომიკურ და კულტურულ სფეროებში გაუმჯობესება შეიმჩნევა.[3] რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიამ და საქართველოში ე.წ. ბორდერიზაციის პოლიტიკის გაგრძელებამ საქართველოსა და რუსეთს შორის პოლიტიკური და უსაფრთხოების კავშირების გამოსწორების შეუძლებლობა აჩვენა. ქართულ-რუსული ურთიერთობები კიდევ უფრო გაუარესდა 2019 წელს, როდესაც რუსეთმა, რუსეთის საწინააღმდეგო პროტესტის საპასუხოდ, ფრენები აკრძალა. უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის აგრესია მნიშვნელოვანი ბოლოდროინდელი მოვლენაა, რომელიც გავლენას ახდენს რუსულ-ქართული ურთიერთობების ბუნებასა და მომავალზე.

წინამდებარე ნაშრომში გაანალიზებულია უკრაინაში რუსეთის ომის გავლენა საქართველოსა და რუსეთის ამჟამინდელ და სამომავლო ურთიერთობებზე.

ამისათვის, პირველ რიგში, მიმოხილულია, თუ რა გავლენა იქონია რუსეთის მიერ წარმოებულმა ომმა გლობალური უსაფრთხოების არქიტექტურაზე. შემდეგ შეფასებულია ქართულ-რუსულ ურთიერთობებში ომამდე არსებული ძირითადი ტენდენციები და გაანალიზებულია ომის მიმდინარეობის კვალდაკვალ რუსეთის მიმართ საქართველოს პოლიტიკის ძირითადი კონტურები. ნაშრომი სრულდება საქართველო-რუსეთის ურთიერთობებზე ომის გავლენის განხილვით.

უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის ომი და მისი გლობალური შედეგები

აგრესიული ომის წარმოებით რუსეთმა უკან დააბრუნა საბჭოთა კავშირის დაშლის ფონზე შესუსტებულად მიჩნეული ტრადიციული გეოპოლიტიკური მეტოქეობა, რამაც ევროპაში უსაფრთხოების ახალ მოცემულობას დაუდო საფუძველი. რუსეთის მიერ წარმოებულმა ომმა გამოიწვია ნატოს გაფართოება – ალიანსში წევრიანდებიან ისტორიულად ნეიტრალური ფინეთი და შვედეთი, დასავლეთი კი რუსეთთან არაპირდაპირ სამხედრო კონფრონტაციაში ჩაერთო, აღმოუჩინა რა უკრაინას ძლიერი სამხედრო მხარდაჭერა რუსეთისგან თავის დასაცავად. უკრაინაში განცდილი სამხედრო წარუმატებლობების ფონზე[4] რუსეთმა უკრაინის დამატებითი ტერიტორიების ანექსია მოახდინა, რათა მოითხოვოს 'ახალი ტერიტორიების' დაცვის უფლება, მათ შორის – ბირთვული გზით. ბირთვული იარაღის გამოყენების შესახებ რუსეთის რიტორიკა გლობალურ უსაფრთხოებას უქმნის საფრთხეს, ძლიერდება შიში, რომ უკრაინაში რუსეთის სამხედრო წარუმატებლობამ შეიძლება უფრო დიდი ესკალაცია გამოიწვიოს, სულ მცირე, იმის გამო, რომ ვლადიმერ პუტინმა შეიძლება მიმართოს ე.წ. 'პოლიტიკური აღდგენის თამაშს' (Gambling for Ressurection), სხვა სიტყვებით – გადავიდეს ეტაპზე, რომელშიც ესკალაციის გაგრძელება ერთადერთი გზაა ძალაუფლებაში დასარჩენად.[5] უკრაინაში მიმდინარე მოვლენების ფონზე, სომხეთსა და აზერბაიჯანს და ტაჯიკეთსა და ყირგიზეთს შორის შეტაკებების განახლება აჩვენებს, რომ ევრაზიაში უსაფრთხოება საკმაოდ მყიფეა.

ომმა ეკონომიკის, ენერგეტიკის, მიგრაციის და ჰიბრიდული ომის სფეროებში არსებული არატრადიციული საფრთხეებიც გამოავლინა. უკრაინაში რუსეთის ომმა და ქვეყნის მიერ ენერგეტიკული რესურსების საკუთარი მიზნებისთვის გამოყენებამ გაზარდა ენერგეტიკის ფასი და ევროპასა და ამერიკაში ინფლაციური პროცესები გაამძაფრა, რამაც საჭირო გახადა, რომ დასავლეთის ქვეყნებს დაეწყოთ შიდა ბაზრების სტიმულირება და რუსულ გაზსა და ნავთობზე დამოკიდებულების ეტაპობრივი შემცირება.[6] ომმა გამოიწვია საკვების საერთაშორისო კრიზისი, რომელიც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაზე ახდენს გავლენას.[7] ომისგან რუსი მოქალაქეების გაქცევამ ევროკავშირის მიერ რუსეთთან ვიზის გამარტივების შეთანხმების შეჩერება განაპირობა.[8] ბალტიის ზღვაში გაზის მილსადენებზე თავდასხმები ჰიბრიდული ომის წარმოების მაგალითია, როცა საფრთხე ექმნება დასავლეთის კრიტიკულ ინფრასტრუქტურას.

უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის ომმა ასევე მოახდინა გავლენა რუსეთის ურთიერთობებზე მეზობლებთან, განსაკუთრებით მათთან, რომლებიც რუსეთის აგრესიის მიმართ არიან დაუცველი და რუსეთზე ეკონომიკურად დამოკიდებული. ასეთ ქვეყნებს, ერთი მხრივ, უნდა უზრუნველეყოთ, რომ საერთაშორისო სამართალი დაცული ყოფილიყო და სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებში დაპყრობის ნორმა

ხელახლა არ ყოფილიყო ლეგიტიმირებული, ხოლო, მეორე მხრივ, რუსეთთან ურთიერთობები ისე წარემართათ, რომ საერთაშორისო სანქციების რეჟიმის შესაბამისი ყოფილიყო, აღეკვეთათ რუსეთის მოსალოდნელი აგრესია და რუსეთის მიერ მათ დასასჯელად ეკონომიკური და ენერგეტიკული რესურსების საკუთარი მიზნებისთვის გამოყენება. სომხეთში, თურქეთში, საქართველოსა და ყაზახეთში რუსი მოქალაქეების შედინებამ ზოგიერთ ამ ქვეყანაში შიდაპოლიტიკური და ეკონომიკური პრობლემები გააჩინა, რაც გავლენას ახდენს მათ მომავალ ურთიერთობებზე რუსეთთან.

უკრაინაში გაჩაღებულმა რუსეთის ომმა დაარღვია აგრესიის, სხვა ქვეყნების წინააღმდეგ ძალის გამოყენებისა და საერთაშორისო საზღვრების ძალისმიერი ცვლილების დაუშვებლობის ძირითადი ნორმები. ეს არა მხოლოდ ძირს უთხრის წესებზე დაფუძნებულ საერთაშორისო წესრიგს, არამედ გამოწვევაა იმ ქვეყნებისთვის, მათ შორის საქართველოსთვის, რომლებიც ხშირად დგანან რუსეთის მიერ წაქეზებული სეპარატიზმის საფრთხის წინაშე. ევრაზიაში გახანგრძლივებული კონფლიქტების უმეტესობა შესაძლოა კვლავ განახლდეს, რასაც პოტენციურად უსაფრთხოების მხრივ ექნება გავლენა შავი ზღვის ფართო რეგიონსა და ევროპაზე.

რუსეთის მიმართ საქართველოს ომამდელი პოლიტიკა

დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ საქართველოს ურთიერთობები რუსეთთან ეფუძნებოდა უნდობლობას, თუმცა ქვეყანას გაცნობიერებული ჰქონდა რეგიონში რუსეთის ძალა და შესაძლებლობები, ასევე მისი როლი საქართველოს სეპარატისტულ კონფლიქტებში. უნდობლობა განსაზღვრავდა დამოუკიდებლობის შემდგომი საქართველოს ყველა ხელისუფლების რუსეთის მიმართ მიდგომას, თუმცა ურთიერთობების ხარისხი განსხვავდებოდა და ასახავდა კონკრეტულ დროს არსებულ საერთაშორისო და შიდა პოლიტიკურ რეალობას. უნდობლობის მთავარი მიზეზი იყო რუსეთის მცდელობა შეელახა საქართველოს სუვერენიტეტი – საქართველოს მიმართ რუსეთის ფედერაციის პოლიტიკის მუდმივი მახასიათებელი.

რუსეთის მიმართ საქართველოს პოლიტიკა 1992-2003 წლებში

საბჭოთა კავშირის დაშლამ აზერბაიჯანში, საქართველოში, მოლდოვასა და რუსეთში სეპარატისტულ კონფლიქტებს დაუდო საფუძველი. სეპარატისტული კონფლიქტი საქართველოში დაემთხვა შიდა ძალაუფლებრივ დაპირისპირებას, რამაც ქვეყანა შიგნით პოლიტიკურად სუსტი და დაუცველი დატოვა და იძულებული გახადა დათანხმებოდა რუსეთის მერ წარმოებულ ძალადობრივ დიპლომატიას დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში (დსთ) საქართველოს გაწევრიანებით.[9]

აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში გადაუჭრელმა კონფლიქტებმა, რომლებშიც რუსეთს მედიატორის როლი ერგო, და საქართველოში რუსეთის სამხედრო ბაზების ბედმა განსაზღვრა ქართულ-რუსული ურთიერთობები 1990-იანი წლების პირველ ნახევარში.[10] ათწლეულის მეორე ნახევარში საქართველოს შიდაპოლიტიკური მდგომარეობა შედარებით დასტაბილურდა და ქვეყანამ დასავლეთისკენ უფრო თამამად გაიხედა – საქართველო გახდა ევროპის საბჭოს წევრი და დაიწყო თანამშრომლობა ევროკავშირთან და ისეთ გლობალურ

ინსტიტუტებთან, როგორიც არის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია, მსოფლიო ბანკი და საერთაშორისო სავალუტო ფონდი. 1999 წელს საქართველომ დატოვა კოლექტიური უსაფრთხოების 1992 წლის ხელშეკრულება/ტაშკენტის ხელშეკრულება (დღევანდელი „კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაცია"). ათწლეულის ბოლოს საქართველო ჩაერთო რეგიონულ ენერგეტიკული პროექტებში, ხოლო რუსეთი საქართველოდან სამხედრო ბაზების გაყვანას დათანხმდა.[11] 2002 წელს პრეზიდენტმა შევარდნაძემ ღიად განაცხადა საქართველოს ნატოში გაწევრიანების სურვილის შესახებ.

როგორც ზემონახსენები მოვლენები აჩვენებს, შევარდნაძის ხელისუფლების საწყისი ურთიერთობები რუსეთთან გამომდინარეობდა საქართველოს შიდა სისუსტით, რამაც ქვეყანა რუსეთზე დამოკიდებული გახადა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს დსთ-ში წევრობა რუსეთის ძალადობრივი დიპლომატიის შედეგად აღიქმებოდა, ხელისუფლება მას ასევე ხედავდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტისადმი რუსეთის მხარდაჭერის მოპოვების საშუალებად. ამასთან დაკავშირებით იმედი არ გამართლდა. როგორც ალექსანდრე რონდელი აღნიშნავდა, ტაშკენტის ხელშეკრულებიდან საქართველოს გამოსვლა განპირობებული იყო „უმეტესად იმით, რომ მან [ხელშეკრულებამ], როგორც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ინსტრუმენტმა, ვერ იმუშავა".[12] ამასთან ერთად, 2000 წელს რუსეთმა საქართველოს სავიზო რეჟიმი დაუწესა, თუმცა ეს არ ვრცელდებოდა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის მაცხოვრებლებზე. ეს ნაბიჯი, საქართველომ სუვერენიტეტის შელახვად აღიქვა.[13] ქვეყნებს შორის დაძაბულობა კიდევ უფრო გამძაფრდა, როდესაც რუსეთმა საქართველოს ჩეჩენი მებრძოლების საკუთარ ტერიტორიაზე შეფარების ბრალდება წაუყენა, რასაც საქართველოს საჰაერო სივრცის რამდენიმეჯერ დარღვევაც მოჰყვა.[14] აშშ-ის მხარდაჭერით საქართველომ, საბოლოო ჯამში, შეძლო პანკისში სახელისუფლებო კონტროლის აღდგენა.[15]

სულ უფრო იზრდებოდა რა აღქმა, რომ რუსეთი ვერ ეგუებოდა საქართველოს მიერ საგარეო პოლიტიკის დამოუკიდებლად წარმართვას, შევარდნაძის ხელისუფლებამ პროდასავლური ორიენტაცია აირჩია, თუმცა მაინც შეინარჩუნა ფრთხილი მიდგომა და თავს იკავებდა დასავლური მისწრაფებების შესახებ ხშირი განცხადებებით, რათა არ გაეღიზიანებინა რუსეთი.[16] ეს დამოკიდებულება შეიცვალა ნატოს სამიტზე შევარდნაძის გამოსვლით, როდესაც მან დააფიქსირა საქართველოს ნატოში გაწევრიანებისკენ მისწრაფება. ეს გამოსვლა იყო საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური მისწრაფებების მკაფიო გამოხატულება, რაც განაგრძო და უფრო მეტად გააძლიერა მიხელ სააკაშვილის ხელისუფლებამ. როგორც სტივენ ჯონსი აღნიშნავს, ძლიერ მეზობლებთან შევარდნაძის მიერ „რთული თამაშის" წარმოება გამოხატავდა საქართველოს იმდროინდელ დილემას, რომ „დასავლეთი სასურველი, მაგრამ მიუღწეველი, ხოლო რუსეთი არასასურველი, მაგრამ ხელშეუვალი იყო."[17]

რუსეთის მიმართ საქართველოს პოლიტიკა 2004-2012 წლებში

2003 წლის ვარდების რევოლუციის შედეგად, შევარდნაძემ ძალაუფლება მშვიდობიანად დატოვა და ხელისუფლებაში მიხეილ სააკაშვილის

ხელმძღვანელობით შექმნილი მთავრობა მოვიდა. რამდენადაც საქართველომ უკვე მკაფიოდ დააფიქსირა საკუთარი პროდასავლური მისწრაფებები, რუსეთი ვარდების რევოლუციას, რომელიც უკრაინის 2004 წლის ნარინჯისფერ რევოლუციასთან ერთად 'ფერადი რევოლუციების' სახელით მოიხსენიება, რეგიონში დასავლეთის შემოღწევის ნიშნად აღიქვამდა, რომელიც ყოფილ საბჭოთა სივრცეში რუსეთის მიერ მართულ ავტორიტარიზმს საფრთხეს უქმნიდა. ვარდების რევოლუცია, როგორც მოცემულობა, უკვე შეუძლებელს ხდიდა ქართულ-რუსული ურთიერთობების პოზიტიურ განვითარებას.

ახალმა მთავრობამ 2005 წელს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია დაამტკიცა და ევროკავშირსა და ნატოში წევრობა ქვეყნის წამყვან საგარეო-პოლიტიკურ პრიორიტეტებად გამოაცხადა. 2004 წელს საქართველო გახდა ევროპული სამეზობლო პოლიტიკის ნაწილი, ხოლო 2006 წელს „ინტენსიური დიალოგის" წამოწყებით ნატოსთან თანამშრომლობა გააძლიერა. აღნიშნულ საგარეო-პოლიტიკურ ნაბიჯებს გავლენა ჰქონდა ქართულ-რუსული ურთიერთობების ევოლუციაზე, რამდენადაც რუსეთი მათ ე.წ. ახლო სამეზობლოში საკუთარი ძალაუფლების ხელახლა განმტკიცების ძალისხმევისათვის დამაზიანებლად მიიჩნევდა. ურთიერთობები კიდევ უფრო გაუარესდა მას შემდეგ, რაც რუსეთმა საქართველოს ეკონომიკური და ენერგო სანქციები დაუწესა და საქართველოს მიერ ჯაშუშობის ბრალდებით რუსი სამხედრო ოფიცრის დაპატიმრების საპასუხოდ[18] ეთნიკური ქართველები რუსეთიდან გამოაძევა.[19] საქართველომ გაორმაგა დასავლური საგარეო პოლიტიკის წარმოება და ორ ქვეყანას შორის ურთიერთობები იმ ხარისხით გაუარესდა, რომ „2007 წლის მარტში გამოქვეყნებულ რუსეთის საგარეო პოლიტიკის მიმოხილვაში საქართველოს რუსეთის ყველა საერთაშორისო პარტნიორს შორის ყველაზე უარყოფითი შეფასება მიენიჭა".[20] ფართო დონეზე, მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციაზე პუტინის გამოსვლამ შექმნა წარმოდგენა დამდეგი რუსული რევიზიონიზმის შესახებ.

რუსული რევიზიონიზმი პირველად 2008 წლის აგვისტოში რუსეთ-საქართველოს ომის დროს გამოვლინდა. საერთაშორისო დონეზე დასავლეთის ქვეყნებმა აღიარეს კოსოვოს დამოუკიდებლობა, რასაც რუსეთი მკაცრად ეწინააღმდეგებოდა. აპრილში, ნატოს ბუქარესტის სამიტზე, საქართველოსა და უკრაინას უარი ეთქვათ გაწევრიანების სამოქმედო გეგმაზე, თუმცა მიეცათ დაპირება, რომ ისინი ერთ დღეს ნატოს წევრები გახდებოდნენ. ადგილობრივ დონეზე ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო წარმომადგენლებსა და საქართველოს შორის დაძაბულობა იზრდებოდა, რომლის პირველი გამოვლინება 2004 წელს მომხდარი 1992 წლის შემდგომ პირველი სერიოზული ესკალაცია იყო.[21] შეტაკებები განახლდა 2008 წლის აგვისტოს დასაწყისში, რასაც რუსეთსა და მის მიერ მხარდაჭერილ სეპარატისტებსა და საქართველოს შორის ომი მოჰყვა. დაძაბულობებს წინ უძღოდა რუსეთის ე.წ. პასპორტიზაციის პოლიტიკა, რომელიც საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის თანმდევი აგრესიის *კაზუს ბელი* გახდა, მტკიცებით, რომ რუსეთს უნდა დაეცვა ამ ტერიტორიაზე მცხოვრები რუსეთის მოქალაქეები და ეთნიკური რუსები. ომი ხუთ დღეს გაგრძელდა და მოჰყვა რუსეთის მიერ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარება. მიიჩნევა, რომ საქართველოში რუსეთის აგრესია არის რუსეთის მხრიდან

საქართველოს დასჯა ნატოსკენ მისწრაფების გამო, ასევე პასუხი დასავლეთის მიერ კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარებასა და ნატოში პოტენციურ გაწევრიანებასთან დაკავშირებით საქართველოსა და უკრაინისთვის დადებითი მესიჯების გაგზავნაზე. სხვა მოსაზრებებით, საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის ომი იყო ლოკალიზებული პასუხი საქართველოსა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო წარმომადგენლებს შორის მიმდინარე კონფლიქტის გაუარესების დინამიკაზე და არა რუსეთის ფართო გეგმა ე.წ. ახლო სამეზობლოში შემავალი ქვეყნებისთვის თავს მოეხვია იმპერიული და იერარქიული წესრიგი.

2008 წლის ომის შედეგად ქართულ-რუსული ურთიერთობები ჩიხში შევიდა, ქვეყნებს შორის არსებული უსაფრთხოების, პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობები ფაქტობრივად შეჩერდა. რუსეთის აგრესიის საპასუხოდ საქართველომ რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობები გაწყვიტა და დატოვა დსთ. ქართულ-რუსული ურთიერთობები გაგრძელდა უმეტესად კონფლიქტის გადაჭრის ფორმატების მეშვეობით, როგორიცაა „ჟენევის საერთაშორისო დისკუსიები“ და „ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმი“. საქართველომ მიიღო კანონი ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ და დაიწყო ძლიერი არაღიარების პოლიტიკის წარმოება, რათა რუსეთის მიერ მისი ტერიტორიების აღიარება არალეგიტიმური გაეხადა.

რუსეთის მიმართ საქართველოს პოლიტიკაში ცვლილება 2010 წელს დაიწყო, როდესაც საქართველომ რუსეთთან ლარსის სასაზღვრო სექციის მოქმედება აღადგინა[22] და 2011 წელს რუსეთის მოქალაქეებისთვის უვიზო რეჟიმი დააწესა.[23] 2011 წელს, ამერიკის შეერთებული შტატების მიერ წარმოებული ‘გადატვირთვის’ პოლიტიკის ფარგლებში, საქართველომ შეცვალა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში რუსეთის გაწევრიანების საწინააღმდეგო დიდხნიანი პოზიცია საერთაშორისო მონიტორინგის მექანიზმის შემოღების სანაცვლოდ, რომელიც შეთანხმებით განსაზღვრულ სამ სავაჭრო დერეფანზე ტვირთის მოძრაობას გაუწევდა მონიტორინგს, რაც საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე საკუთარი სუვერენიტეტის მტკიცების შესაძლებლობას აძლევდა. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი, საბოლოო ჯამში, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრი გახდა, შეთანხმება ფურცელზე დარჩა და პრაქტიკაში ჯერ კიდევ განუხორციელებელია.[24] მცირე ნაბიჯებით რუსეთისადმი გახსნილობის პოლიტიკა შენარჩუნდა და კიდევ უფრო გაფართოვდა 2012 წლიდან, რაც საქართველოში ახალი ხელისუფლება მოვიდა.

რუსეთის მიმართ საქართველოს პოლიტიკა 2012 წლის შემდეგ

2012 წელს საქართველოში არჩევნების გზით ხელისუფლების პირველი მშვიდობიანი გადაცემა მოხდა, რამაც შიდა და საგარეო პოლიტიკაში ახალი ვითარება შექმნა. საგარეო პოლიტიკის სფეროში ახალმა ხელისუფლებამ შეინარჩუნა პროდასავლური საგარეო-პოლიტიკური ორიენტაცია, თუმცა წამოიწყო რუსეთთან ურთიერთობების ნაწილობრივი გადატვირთვა. ქვეყნებს შორის ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობები გაუმჯობესდებოდა, თუმცა საქართველო დარჩებოდა რუსეთთან პოლიტიკური და უსაფრთხოების სფეროში ურთიერთობებში არსებული წითელი ხაზების მკაცრად დაცვის მომხრე.

რუსეთთან ურთიერთობებში პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენლის დანიშვნით ახალმა ხელისუფლებამ რუსეთისკენ პირველი ნაბიჯი გადადგა.[25] რუსეთმაც გადადგა საპასუხო ნაბიჯი, რის შედეგადაც შეიქმნა ე.წ. კარასინი-აბაშიძის ფორმატი, რომლის მანდატი ეკონომიკურ, კულტურულ და ჰუმანიტარულ საკითხებს მოიცავდა. ფორმატის ფარგლებში მოლაპარაკებები წლების მანძილზე მიმდინარეობდა, ბოლო შეხვედრა კი 2021 წლის ნოემბერში გაიმართა.[26] ამის პარალელურად, საქართველომ გააგრძელა მონაწილეობა კონფლიქტის გადაჭრის მექანიზმებში – „ჟენევის საერთაშორისო დისკუსიებსა“ და „ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმში“.

ამის მიუხედავად, პოლიტიკურ და უსაფრთხოების ურთიერთობებში მალე იჩინა თავი გამოწვევებმა. ე.წ. ბორდერიზაციის პრაქტიკამ გამანადგურებელი ჰუმანიტარული და უსაფრთხოების შედეგები მოიტანა და დღესაც მოაქვს, მათ შორის, საქართველოს ორი მოქალაქის – გიგა ოთხოზორიასა და არჩილ ტატუნაშვილის – წამება და მკვლელობა, ასევე საქართველოს მოქალაქეების გატაცების განმეორებითი შემთხვევები. საპასუხოდ, საქართველოს პარლამენტმა მიიღო ორპარტიული რეზოლუცია, რომლითაც დაგმო ქმედება და საქართველოს ხელისუფლებას ე.წ. ოთხოზორია-ტატუნაშვილის სიის შემუშავება დაავალა, რათა ოკუპირებულ რეგიონში ადამიანის უფლებების დარღვევებზე პასუხისმგებელი პირები დასჯილიყვნენ.[27] საოკუპაციო ხაზთან გაუარესებული უსაფრთხოების მდგომარეობა 2019 წელს მცირე ესკალაციის საფუძველი გახდა.[28] ბორდერიზაციასთან ერთად გარკვეულმა მოვლენებმა, კერძოდ, რუსეთის მიერ 2014 წელს ყირიმის ანექსიამ, საქართველოს ახალმა კავშირებმა ევროკავშირსა და ნატოსთან და რუსი დეპუტატის ვიზიტის საწინააღმდეგო 2019 წლის შიდა პოლიტიკური პროტესტმა, შეუძლებელი გახადა საქართველოსა და რუსეთის პოლიტიკურ ურთიერთობებში რაიმე პროგრესის მიღწევა.[29] განსაკუთრებით რუსი დეპუტატის ვიზიტის საწინააღმდეგო პროტესტმა შეუქმნა საფრთხე ეკონომიკურ და კულტურულ ურთიერთობებში მიღწეულ პროგრესს, რამდენადაც რუსეთმა პროტესტის საპასუხოდ საქართველოში ფრენები აკრძალა. მიუხედავად იმისა, რომ ფრენები დღემდე აკრძალულია, ამას გავლენა არ მოუხდენია კარასინი-აბაშიძის ფორმატის ფარგლებში მოლაპარაკებების გაგრძელებაზე.[30]

რუსეთთან ეკონომიკურმა და კულტურულმა დაახლოებამ საქართველოს ეკონომიკაში რუსეთის როლის ზრდა გამოიწვია, ასევე – ქვეყანაში რუსული რბილი ძალის ზრდა. ეკონომიკური თვალსაზრისით, საქართველომ მნიშვნელოვნად შეამცირა რუსეთზე ენერგოდამოკიდებულება, თუმცა „მისი ეკონომიკა რჩება მნიშვნელოვნად დამოკიდებული რუსეთზე, უმეტესად საგარეო ვაჭრობის, გზავნილებისა და ტურიზმის მხრივ.“[31] რბილი ძალის თვალსაზრისით, ზოგიერთმა პრორუსულმა პოლიტიკურმა ძალამ პარლამენტში მანდატის მოპოვება შეძლო, ხოლო სოციალურმა ჯგუფებმა საზოგადოებრივ სივრცეში უფრო გაბედულად დაიმკვიდრეს ადგილი. ამას თან ერთოდა რუსეთის მიერ მართული ანტიდასავლური დეზინფორმაციული ნარატივების ზრდა.[32]

საერთო ჯამში, საერთაშორისო დონეზე გამოწვევებით სავსე ათწლეულისა და ქართულ-რუსულ ურთიერთობებში არსებული პოლიტიკური და უსაფრთხოების მოვლენების მიუხედავად, საქართველომ შეძლო რუსეთთან ურთიერთობებში

თავდაპირველი ნაწილობრივი გადატვირთვის შენარჩუნება. თუმცა, უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის აგრესიამ საფუძველი ჩაუყარა ახალ პოლიტიკურ, უსაფრთხოების და ეკონომიკურ გამოწვევებს, რომლებსაც, სავარაუდოდ, გავლენა ექნებათ სხვადასხვა სფეროში რუსულ-ქართული ურთიერთობების ბუნებაზე.

რუსეთის მიმართ საქართველოს პოლიტიკა უკრაინაში რუსეთის ომის კვალდაკვალ

უკრაინაში რუსეთის ომმა საქართველოს ხელისუფლება დილემის წინაშე დააყენა – როგორ ემოქმედა ომის საპასუხოდ. ერთი მხრივ, საქართველოს მხარი უნდა დაეჭირა უკრაინისთვის და დაეგმო რუსეთის აგრესია და მის მიერ საერთაშორისო სამართლის დარღვევა, ხოლო, მეორე მხრივ, ქვეყანას მინიმუმამდე უნდა დაეყვანა რუსეთიდან მომავალი საფრთხეები, მათ შორის – ეკონომიკური. ამავდროულად, ქვეყანას უნდა გამოეყენებინა ომის შედეგად გაჩენილი სტრატეგიული შესაძლებ-ლობები. ასეთი სტრატეგიული შესაძლებლობები იყო ევროკავშირის 'გაფართოებით გადაღლის' პოლიტიკის შეცვლა და მისი მზადყოფნა მიენიჭებინა ევროპული პერსპექტივა ე.წ. ასოცირებული ტრიოს ქვეყნებისთვის – საქართველოს, უკრაინისა და მოლდოვისთვის, ასევე უკრაინისა და სავარაუდოდ რუსეთის აგრესიის საფრთხის წინაშე მყოფი სხვა ქვეყნებისთვის სამხედრო დახმარების გაწევასთან დაკავშირებით დასავლეთში პოლიტიკის ცვლილება.

უკრაინაში რუსეთის ომთან დაკავშირებით საქართველოს ხელისუფლების დამოკიდებულება დაეფუძნა და ასახავდა რუსეთთან ურთიერთობების წარმარ-თვისთვის 2012 წელს შემუშავებულ მიდგომას – შენარჩუნდეს ეკონომიკური და ხალხთაშორისი კავშირები, პოლიტიკურ და უსაფრთხოებით ურთიერთობებში კი – სტატუს-კვო. აქედან გამომდინარე, საქართველო არ შეუერთდა დასავლეთის ქვეყნებს, რომ რუსეთისთვის ორმხრივი ეკონომიკური სანქციები დაეწესებინა, თუმცა ქვეყანა დარჩა სანქციების საერთაშორისო რეჟიმთან შესაბამისობაში. აღსანიშნავია, რომ საქართველო კვლავაც უერთდება 2014 წელს ყირიმის ანექსიასთან დაკავშირებით ევროკავშირის მიერ დაწესებულ შემზღუდავ ზომებს, ხოლო 2022 წლიდან – დონეცკსა და ლუჰანსკთან დაკავშირებითაც.[33] ქვეყანაში შემოსული რუსეთის მოქალაქეებისთვის, რომელთა რაოდენობაც ომის გამო მზარდია, საქართველოს არ დაუწესებია სავიზო შეზღუდვები.

საქართველომ უკრაინას ძლიერი ჰუმანიტარული დახმარება გაუწია და ქვეყანას პოლიტიკურად და დიპლომატიურად მხარი დაუჭირა სხვადასხვა საერთაშორისო პლატფორმის, მათ შორის გაეროს, ეუთოსა და ევროპის საბჭოს მეშვეობით. უკრაინისთვის უსაფრთხოების მხარდაჭერის თვალსაზრისით საქართველო მიმართავს სიფრთხილეს და თავშეკავებულია, თუმცა, თავდაპირველი მერყეობის მიუხედავად, ქვეყანა ესწრება რუსეთის წინააღმდეგ უკრაინის საო-მარი ძალისხმევის გასაძლიერებლად რამშტაინის სამხედრო ბაზაზე აშშ-ის ეგიდით მიმდინარე უკრაინის თავდაცვის საკონტაქტო ჯგუფის შეხვედრებს.[34] სხვადასხვა დროს შიდაპოლიტიკურმა ფაქტორებმა განაპირობა უკრაინელ და ქართველ პოლიტიკოსებს შორის მწვავე მოსაზრებების გაცვლა.[35] ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა მას შემდეგ გაუარესდა, რაც საქართველომ გადაწყვიტა, რომ უკრაინისათვის გაწეული დიპლომატიური დახმარება არ გაევრცელებინა

ეკონომიკისა და უსაფრთხოების სფეროებზე და უკრაინამ ჯერ ელჩი გაიწვია ქვეყნიდან,[36] ახლახან კი საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის, ბიძინა ივანიშვილის, ოჯახის წევრების წინააღმდეგ სანქციები დააწესა.[37] ურთიერთობებს კიდევ უფრო აუარესებს უკრაინის ხელისუფლებასა და საქართველოს მმართველი პარტიის წარმომადგენლებს შორის მიმდინარე პოლიტიკური შეხლა-შემოხლა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებით – საქართველოს მმართველი პარტიის წევრები მიიჩნევენ, რომ უკრაინის ხელისუფლებაში ზოგიერთ ადამიანს სურს „როგორღაც საქართველო მეორე ფრონტად გადააქციონ."[38] აფრასიძის და გვალიას მოსაზრების თანახმად, რუსეთთან მიმართებით საქართველოს მიერ წარმოებული დაბალანსების მიდგომა აიხსნება როგორც რეჟიმის შენარჩუნების, ისე ეროვნული ინტერესის ფაქტორებით.[39]

სტრატეგიული შესაძლებლობების გამოყენების თვალსაზრისით, უკრაინასა და მოლდოვასთან ერთად, საქართველომ ევროკავშირის წევრობაზე განაცხადი გააკეთა, თუმცა თავს იკავებს უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის შესამჩნევად შეცვლისაგან, განსაკუთრებით, ოკუპირებული ტერიტორიების გათავისუფლების საკითხთან დაკავშირებით. ევროკავშირის წევრობის განაცხადით ქვეყანამ მიიღო ევროპული პერსპექტივა და ევროკავშირის პოტენციური კანდიდატი გახდა, რამაც საქართველო ევროკავშირთან ურთიერთობების ახალ ეტაპზე გადაიყვანა. საქართველომ ასევე მონაწილეობა მიიღო ევროკავშირის ეგიდით ახლად შექმნილ ინიციატივაში, რომელიც „ევროპული პოლიტიკური თანამეგობრობის" ფარგლებში 44 ევროპულ ქვეყანას აერთიანებს.[40] თავდაცვის და უსაფრთხოების პოლიტიკის მხრივ საქართველოს მთავრობამ დააფიქსირა რუსეთთან კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების მიმართ ერთგულება[41] და რუსეთთან მიმართებით დასავლეთის მიდგომების ცვლილების ფონზე, ნატოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებთან უსაფრთხოებისა და თავდაცვის სფეროში თანამშრომლობა მნიშვნელოვნად არ განუახლებია. საქართველოს აქამდე არ გადაუდგამს უკრაინის მსგავსი ნაბიჯი და არ წარუდგენია განაცხადი ნატოში დაჩქარებულ გაწევრიანებასთან დაკავშირებით. თუმცა ქვეყანამ ხელი მოაწერა შეთანხმებას თურქეთთან ნატოს სტანდარტების ჯავშანტრანსპორტიორების მიღებაზე,[42] ამერიკის შეერთებული შტატებისგან მიიღო თავდაცვის უსაფრთხოების ახალი დახმარება[43] და ნატოსთან[44] და თურქეთსა და აზერბაიჯანთან[45] ერთად ტრადიციული ერთობლივი სამხედრო წვრთნები ჩაატარა.

რამდენადაც უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის ომი გრძელდება, საქართველომ მხედველობაში უნდა მიიღოს ის გავლენა, რომელიც ომს ექნება მის საგარეო პოლიტიკაზე, განსაკუთრებით კი, ქვეყნის ურთიერთობებზე რუსეთთან.

უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის ომი: შედეგები ქართულ-რუსული ურთიერთობებისთვის

უკრაინაში რუსეთის ომს საქართველოს საგარეო პოლიტიკისა და რუსეთთან ქვეყნის ურთიერთობებისთვის შემდეგი გავლენა ექნება: პირველი, უკრაინაში წარუმატებლობების მიუხედავად, რუსეთი საქართველოსთვის კონვენციური და არაკონვენციურ საფრთხეს ჯერ კიდევ წარმოადგენს. მეორე, რუსეთის მიერ

სეპარატისტული კონფლიქტების საკუთარი მიზნებისთვის გამოყენება, მათ შორის, ანექსირების მეშვეობით, საქართველოსთვის, რომლის ტერიტორიებიც რუსეთს აქვს ოკუპირებული, უსაფრთხოებისა და ნორმატიული გამოწვევაა. მესამე, მოსალოდნელია, რომ რუსეთისთვის დაწესებული დასავლური ეკონომიკური სანქციების კვალდაკვალ, რუსეთთან საქართველოს ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობები შეიცვალოს, თუმცა ცვლილების ხარისხი და მიმართულება დამოკიდებულია ომის შედეგსა და საქართველოს შიდაპოლიტიკურ მოვლენებზე. აღნიშნულის ფონზე, საქართველომ უნდა შეინარჩუნოს დასავლეთთან მჭიდრო კავშირი, რათა მინიმუმამდე დაიყვანოს უკრაინაში რუსეთის ომით გაჩენილი უსაფრთხოებისა და ეკონომიკური გამოწვევები და ამავდროულად შეინარჩუნოს ძლიერი ფოკუსი თავდაცვაზე, დეოკუპაციასა და ტერიტორიული მთლიანობის მშვიდობიანი გზით აღდგენაზე.

კონვენციური და არაკონვენციური საფრთხეები კვლავ საყურადღებოა

ათწლეულების განმავლობაში რუსეთი საქართველოს კონვენციური და არაკონვენციური გზებით ემუქრებოდა. სამხედრო და სხვა საშუალებებით რუსეთმა მხარი დაუჭირა საქართველოში არსებულ სეცესიონისტურ ჯგუფებს, რათა ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე გავლენა მოეხდინა. 2008 წლამდე რუსეთი სხვადასხვანაირად ეცადა საქართველოს დასავლური მისწრაფებების აღკვეთას, მათ შორის, მის ხელთ არსებული ეკონომიკური და ენერგო რესურსების საკუთარი მიზნებისთვის გამოყენებით. 2008 წელს რუსეთმა საქართველოში ომი გააჩაღა და კიბერშეტევა განახორციელა. 2008 წლის შემდეგ რუსეთი ე.წ. ბორდერიზაციას იყენებს, რომ საგარეო-პოლიტიკური მიმართულებების შესაცვლელად საქართველოზე ზეწოლა მოახდინოს, აწარმოებს დეზინფორმაციის მიზანმიმართულ კამპანიებს, რათა ხელი შეუშალოს საქართველოს დასავლურ მისწრაფებებს და პასუხისმგებელია ქვეყანის წინააღმდეგ არაერთ კიბერშეტევაზე. 2019 წელს, საქართველოში არსებული პროტესტის საპასუხოდ, რუსეთმა საქართველოს მიმართულებით ფრენა აკრძალა. ამასთან ერთად, სხვადასხვაგვარი დისკურსის გამოყენებით, რუსეთი ამართლებს საზღვარგარეთ მცხოვრები რუსი მოქალაქეების დაცვის საჭიროებას, რათა საქართველოს წინააღმდეგ ომი აწარმოოს.[46]

უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის ომის ფონზე ძალაშია როგორც კონვენციური, ისე არაკონვენციური გამოწვევები. უკრაინაზე ფოკუსის შემდეგ რუსეთის სამხედრო შესაძლებლობების დაქვეითების მიუხედავად, რუსეთის იმპერიული შემობრუნების მიზანში ასევე ექცევა საქართველო და მოლდოვა და მათი დასავლური მისწრაფებები. რადგან რუსეთი პირველი კატეგორიის პრიორიტეტს ანიჭებს თავის ამბიციებს, რომ მეზობელი სახელმწიფოები საკუთარ ძალას დაუქვემდებაროს და გაამყაროს თავისი, როგორც დიდი ძალის იმიჯი, რათა რეგიონში დასავლეთის (ამერიკის შეერთებული შტატები, ნატო, ევროკავშირი) გავლენა შეამციროს, შეუძლებელია საქართველოს წინააღმდეგ რუსეთისგან მომავალი სხვადასხვა სახის საფრთხის უგულებელყოფა.

კონვენციური თვალსაზრისით, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან არსებულ საოკუპაციო ხაზთან რუსეთის მიერ სამხედრო

შეტაკებების პროვოცირების ალბათობა რჩება, რაც რეგიონში უსაფრთხოების გარემოს კიდევ უფრო არასტაბილურს გახდის. სხვა ფაქტორებთან ერთად, სამხედრო შეტაკებების პროვოცირების მიზანია შემოწმდეს იქ მოქმედი ევროკავშირის სამოქალაქო მონიტორინგის მისიის გაბედულება. ასევე შესაძლებელია რუსეთის პირდაპირი სამხედრო აგრესია, რათა აღკვეთოს საქართველოსა და ნატოს შორის შემდგომი სამხედრო და პოლიტიკური თანამშრომლობა. რუსეთის ადრინდელ ქცევას თუ გავითვალისწინებთ, მას შეუძლია საკუთარი აგრესიული ქმედებები შეფუთოს, როგორც საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე ან მთლიანად საქართველოში მცხოვრები საკუთარი მოქალაქეების დასაცავი ღონისძიებები, ასევე საქართველოში ლუგარის ლაბორატორიის არსებობაზე აპელირებით – როგორც ბიოლოგიური უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებული საჭირო ნაბიჯები. მიუხედავად ამ ყველაფრისა, რამდენადაც რუსეთის კონვენციურ შესაძლებლობებზე გავლენას ახდენს უკრაინაში მიმდინარე ომი, საქართველოში საკუთარი მიზნების მისაღწევად რუსეთმა შეიძლება არაკონვენციურ ზომებს მიმართოს.

რაც შეეხება არაკონვენციურ საფრთხეებს, საქართველო შეიძლება გახდეს რუსეთის მიერ ორგანიზებული კიბერშეტევების, კრიტიკულ ინფრასტრუქტურაზე თავდასხმების ან რუსულ ბაზარზე საქართველოსთვის წვდომის შეზღუდვის მსხვერპლი. ეს უკანასკნელი კი ქვეყნის შიგნით ეკონომიკურ დაუცველობას გამოიწვევს. ევროპაში კრიტიკულ ინფრასტრუქტურაზე თავდასხმები, ასევე რუსეთის მიერ უკრაინული ქალაქების ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის მიზანში ამოღება აჩვენებს, რომ წარუმატებლობა კონვენციურ ფრონტზე რუსეთისათვის შეიძლება მიზნის მისაღწევად არაკონვენციური გზების გამოყენების საფუძველი გახდეს.

რაც შეეხება საქართველოსთან დაკავშირებით რუსეთის მიზნებს, მას უნდა საქართველოს დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის შეზღუდვა და ამერიკის შეერთებულ შტატებთან, ნატოსთან და ევროკავშირთან მისი ახლო კავშირების დამყარების სურვილების შებოჭვა. საგარეო პოლიტიკის საკითხებზე საქართველოს გადაწყვეტილების მიმღებმა პირებმა უნდა გასწიონ ძალისხმევა, რომ საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის მიერ კონვენციური ან/და არაკონვენციური გავლენის საშუალებების გამოყენება გამოიწვევს დასავლეთის მიერ რუსეთი-სთვის დამატებითი სანქციების დაწესებას. დასავლელ პარტნიორებთან ამ ურთიერთგაგების მიღწევა უნდა იყოს საქართველოს წამყვანი პრიორიტეტი, რამდენადაც ამან შეიძლება შეაკავოს რუსეთი, განახორციელოს თავისი ზრახვები იმის ფონზე, რომ უკრაინაში მიმდინარე ომის პარალელურად რეგიონში მცირდება რუსეთის გავლენის გავრცელების შესაძლებლობა.

რუსეთის მიერ სეპარატისტული კონფლიქტების ინსტრუმენტაღიზაცია: ნორმატიული გამოწვევები საქართველოსთვის

საქართველოში დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ რუსეთმა წაახალისა და საკუთარი მიზნებისთვის გამოიყენა სეპარატისტული კონფლიქტები, რათა თავის ყოფილ რესპუბლიკებზე გავლენა შეენარჩუნებინა და დასავლეთისკენ მათი 'საშიში გამგზავრება' აღეკვეთა. როგორც დესკალზი აღნიშნავს, დსთ-ის რეგიონში „ყველა კონფლიქტში, რომელსაც სეპარატისტული კომპონენტი აქვს, მოსკოვი

მოქმედებს ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ“.[47] საქართველოსთან მიმართებით რუსეთი აგრძელებდა საქართველოს სუვერენიტეტის შელახვას აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში სეპარატისტული ძალების მხარდაჭერით, თუმცა ამავდროულად ფორმალურად საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას უჭერდა მხარს. ეს ვითარება 2008 წლის ომის შემდეგ შეიცვალა – რუსეთმა ახლა უკვე ფორმალურად დაარღვია საქართველოს სუვერენიტეტი და საქართველოს რეგიონების დამოუკიდებლობა აღიარა, როგორც სამხარაძე აღნიშნავს, დასავლეთის მიერ კოსოვოს აღიარების საპასუხოდ, საქართველოს ნატოში გაწევრიანების აღსაკვეთად და საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე რუსეთის სამხედრო ძალების ყოფნის ლეგიტიმაცისთვის.[48]

სეპარატისტული რეგიონების აღიარების შემდეგ რუსეთმა ვერ შეძლო წარმატებისთვის მიეღწია აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის საერთაშორისო აღიარების საქმეში. საქართველოს რეგიონებში სამხედრო ყოფნის ‘სამართლებრივად’ გაფორმების შემდეგ აღიარების შემდგომ რუსეთის ნაბიჯები, რაც უმთავრესად ბორდერიზაციაში გამოიხატება, მიზნად ისახავდა საქართველოს საგარეო პოლიტიკის მიმართულებებზე გავლენის მოხდენას.[49] აფხაზეთთან და ცხინვალის რეგიონთან/სამხრეთ ოსეთთან ‘სახელმწიფოთაშორისო შეთანხმებების’ ხელმოწერის მიზანი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის კიდევ უფრო დარღვევა იყო. რუსეთის მიერ საქართველოს რეგიონების, განსაკუთრებით ცხინვალის რეგიონი/სამხრეთ ოსეთის, პოტენციური ანექსიის შესაძლებლობა წარმოადგენს საქართველოზე ზემოქმედების ბერკეტს. ამ ყველაფრის მიუხედავად, საქართველო განაგრძობს ახლო კავშირის დამყარებას როგორც ნატოსთან, ისე ევროკავშირთან.

უკრაინაში მიმდინარე ომმა საქართველოსთვის ნორმატიული გამოწვევები გააჩინა, რამდენადაც რუსეთმა, ომში დასახული მიზნების შესრულების შეფერხების ფონზე, უკრაინის ოთხი რეგიონის ანექსირება მოახდინა. არსებობს ალბათობა, რომ რუსეთი მოახდენს საქართველოს ტერიტორიების ანექსიას ან მათთან ურთიერთობებს ახალ ეტაპზე აიყვანს, განსაკუთრებით მაშინ, თუ დასავლეთის უსაფრთხოების, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინსტიტუტებთან საქართველოს დამატებითი ინტეგრაცია შეუქცევადი გახდება. აფხაზეთში ლუკაშენკოს ვიზიტის ფონზე გაიზარდა ალბათობა იმისა, რომ ბელარუსმა შესაძლოა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონი/სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა აღიაროს. იმისათვის, რომ რუსეთის მიერ ანექსირების მცდელობებს საერთაშორისო ლეგიტიმაციის საფუძველი გამოეცალოს, საქართველომ უნდა შეინარჩუნოს მჭიდრო პარტნიორობა დასავლეთის სახელმწიფოებთან და უზრუნველყოს, რომ ანექსიის განხორციელების შემთხვევაში, რუსეთს დამატებით დაუწესდება საერთაშორისო სანქციები. იგივე უნდა მიესადაგოს ბელარუსს იმ შემთხვევაში, თუ ქვეყანა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას აღიარებს.

ქართულ-რუსული ურთიერთობების მომავალი

უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის ომს მნიშვნელოვნად არ შეუცვლია 2012 წლის შემდეგ საქართველო-რუსეთის ურთიერთობების ბუნება. საქართველო ჯერ კიდევ ინარჩუნებს ეკონომიკურ და ხალხთაშორის კავშირებს რუსეთთან, თუმცა

აღსანიშნავია, რომ რუსეთთან ურთიერთობებში საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალურ წარმომადგენელსა და მის რუს კოლეგას შორის შეხვედრა 2021 წლის ნოემბრის შემდეგ აღარ გამართულა. ომის ფონზე რუსეთის როლი საქართველოს ეკონომიკაში კიდევ უფრო გაძლიერდა, რამდენადაც რუსეთის მოქალაქეები საქართველოში იმიგრირდნენ და ქვეყანაში ფულის ნაკადი გაიზარდა.[50] რუსეთის შურისძიების შიშით საქართველომ რუსეთს ორმხრივი ეკონომიკური სანქციები არ დაუწესა, თუმცა დარჩა საერთაშორისო სანქციების რეჟიმთან შესაბამისობაში.

2012 წლის შემდეგ პოლიტიკური ურთიერთობები მინიმალურ დონეზეა, რაც განპირობებულია რუსეთსა და საქართველოს შორის საქართველოს საგარეო-პოლიტიკური მისწრაფებების შესახებ არსებული განსხვავებებით და საქართველოს სეპარატისტულ კონფლიქტებში რუსეთის როლით. რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიამ პოლიტიკური უთანხმოება კიდევ უფრო გაზარდა, რადგან საქართველო თანმიმდევრულად უჭერს მხარს უკრაინის ტერიტორიულ მთლიანობას, მათ შორის, „ყირიმის პლატფორმაში“ მონაწილეობით.[51] საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან რუსეთის მიერ ე.წ. ხელშეკრულებების ხელმოწერა და მიმდინარე ბორდერიზაცია არსებულ პოლიტიკურ და უსაფრთხოების განსხვავებებს კიდევ უფრო ამძაფრებს. ახლანდელი ომის ფონზე საქართველომ უკრაინას ძლიერი პოლიტიკური და დიპლომატიური მხარდაჭერა გამოუცხადა. ევროკავშირის წევრობის განაცხადის გაკეთებამ და ქვეყნის მიერ ევროპული პერსპექტივის მოპოვებამ საქართველო რუსეთის გავლენის სფეროს კიდევ უფრო დააშორა.

ქართულ-რუსული ურთიერთობების მომავალი დამოკიდებულია ომის შედეგსა და საქართველოში განვითარებულ შიდაპოლიტიკურ მოვლენებზე. საქართველოსთვის ყველაზე ნეგატიური შედეგი იქნება, თუკი ომის დასრულების შედეგად უკრაინას და საქართველოს შეეზღუდებათ დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის წარმოების შესაძლებლობა და შემცირდება მათი ურთიერთობა დასავლეთთან. საქართველოსთვის ყველაზე სასურველი შედეგი იქნება უკრაინის გამარჯვება და მის ოკუპირებულ და ანექსირებულ ტერიტორიებზე დე იურე კონტროლის აღდგენა, რაც ტერიტორიული მთლიანობის ნორმას გააძლიერებს. ყველაზე რეალისტური სცენარი კი ამ ორ შესაძლებლობას შორისაა: სხვა სიტყვებით, მოსალოდნელია ან გახანგრძლივებული ომი, რომელიც წლები გაგრძელდება, ან დროებითი ზავი და შეტაკებების ისევ განახლება. ომის შედეგის მიუხედავად, რუსულ-დასავლური ურთიერთობები პოლიტიკური განსხვავებებით მოცული დარჩება, რასაც გავლენა ექნება ქართულ-რუსულ ურთიერთობებზეც.

ქართულ-რუსული ურთიერთობების ბუნება ასევე დამოკიდებულია საქართველოს შიგნით განვითარებულ მოვლენებზე. სხვა თანაბარ პირობებში ნაკლებად მოსალოდნელია, რომ საქართველოს ახლანდელი ხელისუფლება რუსეთთან საკუთარ მიდგომას შეცვლის, რომელიც ეკონომიკური სფეროს პოლიტიკის სფეროსგან აშკარა განცალკევებაზე დგას. 2024 წლისთვის დაგეგმილი საპარლამენტო არჩევნები შექმნის რუსეთის მიმართ საქართველოს პოლიტიკის შეცვლის შესაძლებლობას იმის მიხედვით, თუ როგორ განაწილდება ძალაუფლება პოლიტიკურ ძალებს შორის. ათწლეულების მანძილზე რუსეთის მიმართ საქართველოს პოლიტიკაზე დაკვირვება მიუთითებს თანმიმდევრულ მახასიათებელზე, რომლის მიხედვითაც ხელისუფლების ცვლილებას რუსეთთან

ურთიერთობებში სტრატეგიის ცვლილება მოჰყვება. თუმცა, საქართველოს სუვერენიტეტსა და ქვეყნის დასავლურ მისწრაფებებთან დაკავშირებული ძირეული განსხვავებები რჩება რუსეთის მიმართ საქართველოს უნდობლობის საფუძველი ყველა ძირითად პოლიტიკურ პარტიას შორის.

დასკვნა

უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის ომმა გავლენა მოახდინა ევროპისა და მსოფლიოს ტრადიციულ და ადამიანურ უსაფრთხოებაზე. ევროპის კონტინენტზე დაბრუნდა ომი, რამაც თან მოიტანა ადამიანური ტრაგედია, ეკონომიკური სირთულეები და მიგრაციის ახალი ტალღები. ომმა გავლენა მოახდინა რუსეთთან დასავლეთის ურთიერთობების ბუნებაზე რამდენადაც დასავლეთი გამოხატავს მზადყოფნას სამხედრო, პოლიტიკური და ეკონომიკური გზებით მხარი დაუჭიროს უკრაინას, რომ თავი დაიცვას რუსეთის აგრესიისგან.

ომმა რუსეთის მეზობელ ქვეყნებზეც იმოქმედა და სხვადასხვა სფეროში ურთიერთობების ბუნებაზეც. ომმა განსაკუთრებული გავლენა მოახდინა ისეთ ქვეყნებზე, რომელთაც არ გააჩნიათ უსაფრთხოების გარანტიები და დაუცველი არიან რუსეთის აგრესიისგან, კერძოდ, საქართველოსა და მოლდოვაზე. გარდა ომით გამოწვეული ეკონომიკური და მიგრაციული შედეგებისა, ორ ქვეყანას უნდა დაეცვა ბალანსი, რათა დაეგმო უკრაინის მიმართ რუსეთის აგრესია და მხარი დაეჭირა უკრაინისათვის და თან უნდა გადაედგათ ნაბიჯები, რომლებიც რუსეთისგან მომავალ საფრთხეებს შეამცირებდა. საქართველოს ასევე უნდა გამოეყენებინა სტრატეგიული შესაძლებლობები, რაც ევროკავშირის წევრობისთვის წარდგენილი განაცხადით გამოიხატა. ამან საქართველოს ევროპული პერსპექტივა მოუტანა და ქვეყნის ევროპული მისწრაფებები ახალ ეტაპზე გადაიყვანა.

საქართველოს ურთიერთობა რუსეთთან დამოუკიდებლების აღდგენის არამყარ საფუძველზე იდგა და ახასიათებდა დიდი უნდობლობა. ეს განპირობებული იყო რუსეთის მიერ საქართველოს სუვერენიტეტის მუდმივი შელახვით, რასაც იგი სეპარატისტული ძალებისთვის სამხედრო და სხვა სახის დახმარების გაწევითა და საქართველოს დასავლური მისწრაფებებისთვის ხელის შეშლით აკეთებდა. რუსეთის მიმართ პოლიტიკაში საქართველოს ყველა მთავრობას ჰქონდა გაცნობიერებული ეს უნდობლობა, თუმცა თითოეული ხელისუფლება რუსეთთან ურთიერთობებში საკუთარი მიდგომით მოქმედებდა, რაც ხშირად ასახავდა იმდროინდელ საერთაშორისო და შიდაპოლიტიკურ კონტექსტებს.

რუსეთთან საქართველოს ახლანდელი პოლიტიკა ერთმანეთისგან მკაფიოდ მიჯნავს ეკონომიკური და პოლიტიკური და უსაფრთხოების ურთიერთობებს. ასეთმა მიდგომამ გაუძლო არა მხოლოდ გამოწვევებით სავსე ათწლეულს, არამედ უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის ომსაც. ომის ფონზე საქართველო თავს იკავებს რუსეთის მიმართ გადადგას ესკალაციის გამომწვევი პირველი ნაბიჯი, განსაკუთრებით, ეკონომიკის სფეროში. ქვეყანა ასევე თავს იკავებს მნიშვნელოვნად განაახლოს დასავლეთთან სამხედრო და ეკონომიკური თანამშრომლობა, თუმცა ომამდელი პარტნიორობა კვლავ გრძელდება. პოლიტიკურად ქვეყანა რჩება უკრაინისა და დასავლეთის ძლიერ პარტნიორად. მოსალოდნელია, რომ რუსეთის მიმართ

მიდგომა არ შეიცვლება, თუმცა რუსეთის მიმართ საქართველოს პოლიტიკა შეიძლება შეიცვალოს იმის მიხედვით, თუ როგორ დასრულდება ომი და როგორი იქნება საქართველოს 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგები.

ამრიგად, მეზობელი ქვეყნების მიმართ რუსეთის იმპერიული ამბიციები საქართველოს რუსეთისგან მომავალი კონვენციური და არაკონვენციური საფრთხეებისადმი დაუცველს ხდის, იმ შემთხვევაშიც კი, თუ რუსეთი ვერ შეძლება უკრაინის წინააღმდეგ ომში დასახული მიზნების მიღწევას. საფრთხეები მოიცავს პირდაპირ სამხედრო აგრესიას, კრიტიკულ ინფრასტრუქტურაზე თავდასხმასა და ქართული პროდუქციისთვის რუსული ბაზრის დახურვას. დამატებით ნორმატიულ გამოწვევას წარმოადგენს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების ანექსია ან მათთან ურთიერთობების ახალ დონეზე აყვანა, ისევე, როგორც ბელარუსის მიერ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონი/სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის პოტენციური აღიარება. ამ საფრთხეების საპასუხოდ საქართველომ დასავლეთთან უნდა განამტკიცოს უსაფრთხოების, პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობები და შექმნას წინაპირობები იმისათვის, რომ დასავლეთმა რუსეთისა და ბელარუსისთვის სანქციების ახალი პაკეტი დააწესოს იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს წინააღმდეგ არსებული საფრთხეები რეალურ სახეს მიიღებს. ეს ყველაფერი კი საჭიროებს გრძელვადიან დაგეგმვას, რომლის მიზანი უნდა იყოს ქვეყნის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვა და, მრავალმხრივი საფრთხეების საპირწონედ, ეკონომიკური და საზოგადოებრივი მედეგობის გაძლიერება.

ბიბლიოგრაფია

1. Keith Gessen. 2022. “How the War in Ukraine Might End.” *The New Yorker,* September 29, 2022. https://www.newyorker.com/culture/annals-of-inquiry/how-the-war-in-ukraine-might-end
2. Giorgi Lomsadze. 2022. “The Septembrists, Russia’s latest wave of emigres to Georgia.” *Eurasianet.* October 12, 2022. https://eurasianet.org/the-septembrists-russias-latest-wave-of-emigres-to-georgia
3. Kornely Kakachia. 2022. “Georgian Foreign Policy Strategy in Uncertain Times.” *The Central Asia-Caucasus Analyst*. September 5, 2022. https://www.cacianalyst.org/resources/pdf/220905_FT-Georgia.pdf ; Irakli Sirbiladze and Elene Panchulidze. 2022. “Caught in Between: Georgia’s European Aspirations Under Russian Influence.” In Michael Kaeding, Johannes Pollak and Paul Schmidt (Ed.), *Russia and the Future of Europe: Views from the Capitals* pp. 123-126, Springer Nature Switzerland AG.
4. Massicot Dara. 2022. “Russia’s Repeat Failures: Moscow’s New Strategy in Ukraine is Just as Bad as the Old One.” *Foreign Affairs*, August 15, 2022. https://www.foreignaffairs.com/ukraine/russia-repeat-failures
5. George W. Downs and David M. Rocke. 1994. “Conflict, Agency and Gambling for Resurrection: The Principal-Agent Problem Goes to War.” *American Journal of Political Science*, 38(2), 362–380
6. European Commission. 2022. “REPowerEU: A plan to rapidly reduce dependence on Russian fossil fuels and fast forward the green transition.” May 18, 2022. https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/en/IP_22_3131
7. Kristalina Georgieva, Sebastián Sosa and Björn Rother 2022. “Global Food Crisis Demands Support For People, Open Trade, Bigger Local Harvests.” *IMF Blog,* September 30, 2022. https://www.imf.org/en/Blogs/Articles/2022/09/30/global-food-crisis-demands-support-for-people-open-trade-bigger-local-harvests?fbclid=IwAR0vVSQBZn2WrdwvozC8WpKufCKDVLiP2QwCGQVzBwONW312J8SD8LNRbok

8. European Council/Council of the European Union. 2022. “Council adopts full suspension of visa facilitation with Russia.” September 9, 2022. https://www.consilium.europa.eu/en/press/press-releases/2022/09/09/council-adopts-full-suspension-of-visa-facilitation-with-russia/#:~:text=Today%20the%20Council%20adopted%20a,will%20apply%20to%20Russian%20citizens.
9. Alexander Rondeli. 2001. “The choice of independent Georgia.” In G. Chufrin (Ed.), *The security of the Caspian Sea region*, p. 197, Oxford University Press
10. იქვე., p. 201
11. იქვე.
12. იქვე., p.204
13. იქვე., pp. 204-205
14. Levan Kakhishvili. 2021.” Towards a two-dimensional analytical framework for understanding Georgian foreign policy: How party competition informs foreign policy analysis.” *Post-Soviet Affairs*, 37(2):15
15. იქვე.
16. Alexander Rondeli. 2001. “The choice of independent Georgia.” In G. Chufrin (Ed.), *The security of the Caspian Sea region*, pp. 208-209, Oxford University Press
17. Stephen F. Jones. 2012. *Georgia: A Political History Since Independence*. p. 249, London: I. B. Taurus.
18. Radio Free Europe/Radio Liberty. 2006. “Russia Recalls Georgian Ambassador Over Spy Scandal.” September 28, 2021. https://www.rferl.org/a/1071681.html
19. The Human Rights Watch. 2007. “Singled Out: Russia’s Detention and Expulsion of Georgians.” September 30, 2007. https://www.hrw.org/report/2007/09/30/singled-out/russias-detention-and-expulsion-georgians
20. Sergey Markedenov. 2007. “The Paradoxes of Russia’s Georgia Policy.” *Russia in Global Affairs*, May 13, 2007. https://eng.globalaffairs.ru/articles/the-paradoxes-of-russias-georgia-policy/
21. International Crisis Group. 2004. “Georgia: Avoiding War in South Ossetia.” November 26, 2004. https://www.crisisgroup.org/europe-central-asia/caucasus/georgia/georgia-avoiding-war-south-ossetia
22. Civil.ge. 2010. “Georgia-Russia Border Crossing Point to Reopen on March 1.” February 27, 2010. https://civil.ge/archives/119925
23. Civil.ge. 2011. “Georgia Makes Available Visa for Russian Citizens at Larsi.” July 4, 2011. https://civil.ge/archives/121094
24. Irakli Sirbiladze. 2019. “Russian-Georgian WTO Agreement: Actors and Factors Influencing its Practical Implementation.” *Georgian Institute of Politics*. August 29, Issue #10. https://gip.ge/publication-post/5015/
25. Civil.ge. 2012. “PM Appoints Special Envoy for Relations with Russia.” November 1, 2021. https://civil.ge/archives/122366
26. Civil.ge. 2021. “Abashidze, Karasin Talk Humanitarian Issues, Trade.” November 24, 2021. https://civil.ge/archives/457535
27. Civil.ge. 2018. “Government Unveils Tatunashvili-Otkhozoria List.” June 27, 2018. https://civil.ge/archives/245184
28. Tornike Zurabashvili. 2019. “The Tsnelisi-Chorchana Crisis: Facts, Details and Chronology.” Opinion Paper, *Georgian Foundation for Strategic and Internationa*l Studies, Available at: www.gfsis.org/publications/view-opinion-paper/130
29. Irakli Sirbiladze. 2020. “A Decade of Russian-Georgian Relations: Key Patterns and Things to Watch.” *Georgian Foundation for Strategic and International Studies.* https://gfsis.org.ge/files/library/opinion-papers/144-expert-opinion-eng.pdf
30. იქვე.
31. Irakli Sirbiladze and Elene Panchulidze. 2022. “Caught in Between: Georgia’s European Aspirations Under Russian Influence.” In Michael Kaeding, Johannes Pollak and Paul Schmidt (Ed.), *Russia and the Future of Europe: Views from the Capitals*, pp. 123-126, Springer Nature Switzerland AG.
32. Irakli Sirbiladze. 2019. “Russia’s Disinformation Campaigns in Georgia: A Study of State and Civil Society Response.” *PMC Research Center*, https://pmcresearch.org/policypapers_file/f6ac5dfb34c12e31c.pdf
33. Civil.ge. 2022. “In UNGA Speech, PM Talks Russian Occupation, EU Integration.” September 23, 2022. https://civil.ge/archives/509072

34. Ministry of Defence of Georgia. 2022. "Defense Minister of Georgia Attended Ukraine Defence Contact Group Meeting." June 15, 2022. https://mod.gov.ge/en/news/read/8667/defense-minister-of-georgia-attended-ukraine-defense-contact-group-meeting

35. Nini Gabritchidze. 2022. "Amid war, bitter exchanges continue to spoil Tbilisi-Kyiv relations." *Eurasianet*. May 4, 2022. https://eurasianet.org/amid-war-bitter-exchanges-continue-to-spoil-tbilisi-kyiv-relations

36. Giorgi Lomsadze. 2022. "Ukraine recalls ambassador from Georgia." *Eurasianet*, March 1, 2022. https://eurasianet.org/ukraine-recalls-ambassador-from-georgia

37. Nini Gabritchidze. 2022. "With sanctions, Ukraine-Georgia relations hit a new low." *Eurasianet*, October 21, 2022. https://eurasianet.org/with-sanctions-ukraine-georgia-relations-hit-a-new-low

38. Agenda.ge. 2022. "Ruling party head alleges "certain representatives" of Ukrainian Gov't want to "turn Georgia into second front" of war with Russia." September 8, 2021. https://agenda.ge/en/news/2022/3426

39. David Aprasidze and Giorgi Gvalia. 2022. "National Interest and Regime Survival: Why Georgia is Cautious Towards the Russia-Ukraine War." *The Central Asia-Caucasus Analyst*, April 22, 2022, https://www.cacianalyst.org/publications/analytical-articles/item/13716-%E2%80%8Bnational-interest-and-regime-survival-why-georgia-is-cautious-towards-the-russia-ukraine-war%E2%80%8B.html

40. European Council/Council of the European Union. 2022. "Meeting of the European Political Community, October 6 2022." 6 October, 2022. https://www.consilium.europa.eu/en/meetings/international-summit/2022/10/06/

41. Civil.ge. 2022. "PM Garibashvili Holds Meetings at the UN." September 20, 2022. https://civil.ge/archives/508587

42. Jam News. 2022. "Georgia to receive NATO-standard armored vehicles from Turkey." October 8, 2022. https://jam-news.net/georgia-to-receive-nato-standard-armored-vehicles-from-turkey/

43. U.S. Embassy Tbilisi. 2022. "Today the U.S. delivered 26 tons of security assistance to enhance the defensive capabilities of @ModGovGe [...]." *Twitter*, September 22, 2022. https://twitter.com/usingeo/status/1572910945470496771

44. Ministry of Defence of Georgia. 2022. "Noble Partner 2022 Launched." August 29, 2022. https://mod.gov.ge/en/news/read/8764/noble-partner-2022-launched

45. Civil.ge. 2022. "Joint Military Exercises with Azerbaijan and Turkey start in Georgia." October 11, 2022. https://civil.ge/archives/511275

46. Irakli Sirbiladze. 2020. "A Decade of Russian-Georgian Relations: Key Patterns and Things to Watch." *Georgian Foundation for Strategic and International Studies.* https://gfsis.org.ge/files/library/opinion-papers/144-expert-opinion-eng.pdf

47. CA Gayoso Descalzi. 2011. "Russian hegemony in the CIS region: an examination of Russian influence and of variation in consent and dissent by CIS states to regional hierarchy." PhD thesis, The London School of Economics and Political Science (LSE).

48. Nikoloz Samkharadze. 2016. "Russia's Recognition of Independence of Abkhazia and South Ossetia – Causes of Deviation from Russian Traditional Recognition Policy." PhD Diss., Tbilisi State University;

49. Kakachia, *et al*. 2017. "Mitigating Russia's Borderization of Georgia: A Strategy to Contain and Engage." *Georgian Institute of Politics*. Available at: www.gip.ge/ mitigating-russias-borderization-georgia-strategy-contain-engage/

50. Giorgi Khishtovani, Sopo Basilidze, Anastasia Chkhenkeli and Ana Surmanidze. 2022. "Georgian Economic Climate (Q3, 2022)." *PMC Research Center*. Issue 18, September 28, 2022. https://www.pmcresearch.org/slider_file/f4d66333fd1706b04.pdf

51. Civil.ge. 2022. "President Zurabishvili Addresses Crimea Platform Summit." August 23, 2022. https://civil.ge/archives/505580